

მიჩიან

ქართველი

ნათელი სუცხი

მზე  
იერუსალემი


სუცხი სოველი

საბი

ისრაელი

დედაბიჯა

საუვილონო



# მართასა და მარიაშის ქმა ლაზარე

(სულის სხეულიანი დამწერლობა=უფალი)

ინფორმაციის პროგრამა = სული = შემოქმედი


9	9 თანი	18 ანი	27 ინი	36 აე	ლმერთი მარადიული 9999=36
8	8 ი ჭი	17 პარი	26 ყარი	35 ჯანი	ქმ (ნაყოფი) 8888=32
7	7 ბანი	16 ონი	25 ლანი	34 ჯარი	სასუფეველი 7777=28
6	6 ვიანი	15 იოთა	24 ქანი	33 ხანი	წუთისოფელი 6666=24
5	5 ანი	14 ნარი	23 ფარი	32 ჭარი	ენა- მეტყველება 5555=20
4	4 ღონი	13 მანი	22 უნი	31 ნილი	სხეულის მოდელი 4444=16
3	3 ბანი	12 ლასი	21 ტარი	30 ქილი	სული წმიდა 3333=12
2	2 ბანი	11 კანი	20 სანი	29 ცანი	სიტყვა 2222=8
1	1 ანი	10 ინი	19 რაე	28 ჩინი	მამა 1111=4
ცა არსი მინა	37 ქოე 10 000	38 ჭური 20 000	39 ფონი 30 000	40 ალი	

**ღვთის სიტყვა**

## (ტ)არიალ ქურუმთა კიდობანი

დათვლილ-აღრიცხული სიტყვის შემოქმედი კოდური დამწერლობა

„და ექადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა სანამებლად ყოველსა წარმართთა და მაშინ მოანიოს აღსასრული.“ (მათე 24,14)



*„აჰა, ჩემი მორჩილი, რომლისთვისაც ხელი მაქვს ჩავლებული, ჩემი რჩეული, რომელიც მო-  
ისურვა ჩემმა გულმა, მასზე გარდმოვაკლინე ჩემი სული, ის გაუჩინს სამართალს ხალხებს.“*

(ესაია 42,1)

მოდი, გელით მაცხოვარო,  
წმიდათათვის სანუკვარო,  
ცოდვილთათვის მეხთ-ლახვარო,  
ბეჩავთათვის სანთელ-კვარო.

*მ. ქართველი*



მირიან ქართველი

„ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცივა იგი.“ (იოანე 1,5)  
„ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია.“ (რუსთაველი)

სიმართლე სიცრუეს ააშკარავებს და სიცრუე სიმართლისაგან თავს ვერ დაიფარავს.  
(მ.ქართველი)

## ვინ ვარ?!

„თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მნივნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში.“ (მათე 5,20)

სამყაროს გონის ელვა ვარ, –  
ხმალი მჩეხავი ბნელისა,  
სიცრუის მონის რისხვა და  
მეხი ვარ ჭრელი გველისა.

ქრისტეს სანთელის სხივი ვარ, –  
დამანგრეველი ბნელისა,  
უფლის გზის მწვანე შუქი და  
ურო ვარ ღმერთის გრდემლისა.

წმიდა გიორგის შუბი ვარ, –  
უც გან–მ–გმირ–ავი–გველისა,  
ქრისტეს საყვირის ბაგე და  
ტარი ვარ უფლის ცელისა.

ცისა და მიწის ზარი ვარ, –  
მაუნყებელი რთველისა,  
ქართული მარნის ღვინო და  
ჯვარ–ნამგალი ვარ მკელისა.

იესოს სიტყვის მონა ვარ, –  
მტერი ვარ სიტყვის ბნელისა,  
სიმართლის ხანჯლის პირი და  
ელვა ვარ ღვთის ნათელისა.

ნათლისღება – 2005 წ.

„ნათელის გამომსახველი და ბნელის შემქმნელი, მშვიდობისმოყვანილი და ჭირის შემქმნელი მე ვარ უფალი ამის ყოვლის შემოქმედი.“ (ესაია 45,7)

ადამიანი თუნდაც ათჯერ პროფესორი და აკადემიკოსი, ძველი და ახალი აღთქმის ჭეშმარიტ ინფორმაციას ვერ (არ) მიიღებს თუ ციდან (მამა ღმერთიდან) არა აქვს მიცემული შესაბამისი სულიერი სიმწიფის ხარისხი. (მ.ქართველი)

# სამი ისრაელი

*„აჰა გადმოვცემ იმათ სატანის სინაგოგიდან, რომლებიც თავიანთ თავზე ამბობენ იუდეველები ვართო და არ არიან, არამედ ცრუობენ.“*  
(გამოც.3,9)

ჩემი და გრაალის თასის საძმოს მთავარი და უპირველესი მიზანია (ღვთიური მისია) ქრისტიან ქართველებს, სხვა ეროვნების ქრისტიანებს და წიგნიერ მსოფლიო-კაცობრიობას მარტივი და ადვილად გასაგები ენით ვამცნოთ, საიდან მოვედით, ვინ ვართ და სად მივდივართ?! ამის გარდა გავაგებინოთ, სად მდებარეობს სამოთხე (მარადიული ნათელი), რანაირია მამა ღმერთი (კაცი), როგორი სისტემით ქმნის იგი (იგი=23+23=46=ადამ=შემოქმედი) ყველაფრისა და ყოველივეს მარადიულ სიცოცხლეს; ავიხსნათ, თუ სად იმყოფებოდა **ი**—რაოდენობის ცოცხალი და გარდაცვლილი კაცობრიობა წუთისოფლის შექმნამდე, სად მიდის **ი**—რაოდენობის ცოცხალი და გარდაცვლილი კაცობრიობა წუთისოფლის ჟამის ამონურვის შემდეგ.

ამის გარდა ჩვენი კეთილი მიზანია, ვამხილოთ გლობალური სიცრუის მთხზველი, შემოქმედი და უმეცარი კაცობრიობის მაცდუნებელი სასულიერო სამსახურები, სახელმწიფო-პოლიტიკური სამსახურები, სიცრუის ბოროტად გამავრცელებელი მასიური საინფორმაციო საშუალებები, განათლების უმეცარი სისტემები, რომლებიც ქმნიან ხალხთა გადამტერების ბოროტ იდეოლოგიას, ომისა და მასიური მოსპობის მზაკვრულ შეიარაღებას, რომლებიც ცხვრის ქურქში გახვეული მგლები არიან, რომლებსაც ბიბლიის ენაზე ეწოდებათ **ანტიქრისტი**. ამრიგად, ანტიქრისტიეში იგულისხმება ბოროტი აზროვნების პრაქტიკული რეალიზაცია, რომელსაც თანამედროვე სიცრუის მამები მსოფლიო **გლობალიზაციას** და „ჩემი აზრის“ გამოთქმის (ცრუ სიტყვის) თავისუფლებას უწოდებენ (იმათ ბოროტ პროგრამას ანხორციელებს სააკაშვილი და ნაცმოძრაობა საქართველოში, ხოლო სამღვდლოება მათი თანამზრახველია).

მანამ, სანამ ძირითადი საკითხის განხილვას შევუდგებოდე, რამდენიმე წინადადებით გეტყვი, რომ დედამინაზე ქრისტიეობამდე სამასი (**300**) ათასი წლის წინ ღვთის ნებით ჩაეყარა საფუძველი **გიორგიანულ-მართლმადიდებლურ** ინსტიტუტს, რომელმაც თავისი წიაღიდან წარმოშვა **სამება დამწერლობა** (ლაზარე), **სამება ენა** (ლაზარე), **სამი მართლმადიდებლური მოქმედება** (ნოეს ეფუთი, მოსეს თორა და იესოს სახარება), წინასწარმეტყველები და წმიდა მამები—ყველანი ამ ინსტიტუტიდან გამოვიდნენ.

ბიბლიური **იუდა** და იუდეა გულისხმობს გიორგიანულ-მართლმადიდებლური ინსტიტუტის **სამის** (მეგრული ენის) **5604** წლიან სასულიერო-სამისიონერო-საგანმანათლებლო ეპოქას პატრიარქი **სამიდან** ფარნავაზ-ქუჯის ისტორიულ მომენტამდე. გიორგიან ნოეს ჰყავს სამი ძე: ქამი (სვანური ქართული ენა), სემი (მეგრული ქართული ენა) და იაფეთი (იბერიული ქართული ენა). დანარჩენი კაცობრიობა არის ნოეს შვილების მიერ მონათლულები, განათლებამიღებულები და ყველაფერი ეს მამა ღმერთისგანაა დადგენილი. ამიტომ გვეუბნება წმიდა გამოცხადება: *„აჰა გადმოვცემ იმათ სატანის სინაგოგიდან, რომლებიც თავიანთ თავზე ამბობენ იუდეველები ვართო და არ არიან, არამედ ცრუობენ.“* (გამოც.3,9) უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, მცირეაზიელი, იესო ქრისტეს დაუძინებელი მტრები, ურია იუდეველები, თავიანთ თავზე ამბობენ ებრაელები ვართო, ანუ მოსეს საღვთო მართლმადიდებლური რჯულის მიმდევრები ვართო (მართლმადიდებლები ვართო) და არ არიან, არამედ ცრუობენ, ვინაიდან ისინი მართლმადიდებლობისა და ჯვარის დაუძინებელი მტრები არიან.

იუდა კოდური შიფრია, რომელიც გულისხმობს თევზს (სულიწმიდას) და მოსეს მართლმადიდებლური რჯულის მასწავლებელს (სამღვდლოებას) და არა მცირე აზიელ ქრისტეს მკვლელ ურიას.

წმიდა სახარების მიხედვით არსებობს ორი იუდა და ორი იუდეა ანუ არსებობს იესო ქრისტეს (მესიის) წარმომშობი იუდეა (საქართველო) და მესიის მკვლელი მცირე აზიის **იუდა**. აქედან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, რომ მცირე აზიის იუდა და იუდეა არიან სა-ტანის სინაგოგა, რომლებზედაც მოვა ღვთის რისხვა მესიის დედამინაზე მეორედ მოსვლის წინარე აპოკალიპსურ მონაკვეთში. ამინ!

მამა ღმერთის (კაცის) მარადიული ადგილსამყოფელია ირმის ნახტომის გალაქტიკის ნათლით მოსილი ცენტრი, **იბი (28/82)**, რომელსაც ბიბლიის იგავურ-ალეგორიულ-კოდური ენით ეწოდება **სამ-ოთ-ხე** (სამ-ება ღმერთის სიტყვისა და ენის შემოქმედების ადგილი). ხორციელი ადამიანის გარეგნობისა და ფორმის უზარ-მა-ზარი (გიგანტური) ზომის მამა ღმერთი (კაცი) მარადიულად ცხოვრობს ნათელ, ქათქათა, რძის


მსგავს ბირთვში. ბირთვისა და მამა ღმერთის სხეულის ზომები ისეთ შეფარდებაშია, როგორცაა დედამიწის სიდიდის შეფარდება მის ირგვლივ არსებულ ბიოსფეროს მომცველობასთან. მამა ღმერთს მარადიულად მოსავს ნათელი ფოტონურ-ლაზერული სხეული (მამა ღმერთის სხეული-ეკლესიაა, ლაზარეა).

მამა ღმერთის (კაცის) მოაზროვნე სული თავისთავშია მამა ღმერთის იპოსტასური ფუნქცია, ძე ღმერთის იპოსტასური ფუნქცია და სულიწმიდა ღმერთის იპოსტასური ფუნქცია. ანალოგიურად თითოეული ადამიანის მოაზროვნე სული (გონი) თავისთავშია მამისა, ძისა და სულიწმიდის იპოსტასური ფუნქცია. ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: **„შექმნა ღმერთმა პაპი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.“** (დაბ.1,27)

წმიდა ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ მამა ღმერთი (კაცი) შემოქმედი და მისი შვილები კაცობრიობა თავისი გარეგნული ფორმითა და აზროვნების სისტემით იდენტურები არიან. უფრო არგუმენტირებული რომ ვიყოთ, მოვუსმინოთ წმიდა სახარებას: **„მე და მამა ერთი ვართ“** (იოანე 10,30), **„მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცოდინებოდით, ამიერიდან იცნობდეთ მას და გიხილავთ იგი. ფილიპემ უთხრა: „უფალო, გვაჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის. იესომ უთხრა მას: რა ხანია თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ ფილიპე? ვინც მე მიხილა მამა იხილა, როგორღა ამბობ გვაჩვენე მამაო?“** (იოანე 14,7-9) მნიგნობრები და ფარისევლები იტყვიან ქრისტე ხორციელი კაცი არ იყო: **„ყოველი სული, რომელიც აღიარებს ხორციელად მოსულ იესო ქრისტეს, ღვთისგან არის: ხოლო ყოველი სული რომელიც არ აღიარებს ხორციელად მოსულ იესოს, ღვთისგან არ არის, არამედ ეს არის სული ანტიქრისტესი, რომლის შესახებაც ვსმენიათ, რომ მოვა, და ის ახლა უკვე წუთისოფელშია.“** (1 იოანე 4,2-3).

როგორც ზემოთ გითხარით, მამა ღმერთი (კაცი) იმყოფება ნათელ ბირთვში, რომელიც ტრიალებს საკუთარი ცენტრის ირგვლივ ჯვარედინი ორმხრივი მიმართულებით, რომელიც წარმოქმნის კოსმიურ სპირალს (აქედან გამომდინარე ადამიანის **ღმ**-ის ღერო წარმოადგენს სპირალურ წამოწმებს.)


ნათელი ბირთვის ტრიალით საკუთარი ცენტრის ირგვლივ ათვლება მამა ღმერთის საქმიანობის **ღრო**, რომელიც წამოადგენს დროის ეტალონს მთელი უკიდევანო სამყაროსთვის. მამა ღმერთის თორმეტი (12) საათი — **ერთი დღე**, დედამიწის დროით უდრის ათას (1000) წელს. ამრიგად, სამოთხის სულის სხეულიანი ადამიანი თორმეტი (12) საათის განმავლობაში იმდენი ინფორმაციის მიღებასა და გადაცემას ასწრებს, რომლის შესრულებას იგი დედამიწაზე ხორცის სხეულში მოანდომებს ათას (1000) წელს. აი, აქედან უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი უზარმაზარი განსხვავებაა სამოთხის კაცობრიობასა და დედამიწის კაცობრიობას შორის აზროვნების ხარისხით.



მამა ღმერთი (კაცი) იბადება თავის თავში, ამიტომ მას მარადიული სიცოცხლე აქვს თავის თავში. მამა ღმერთის (სამოთხის კაცის) დაბადება თავის თავში ავტომატურად, უწყვეტი ინფორმაციული კავშირგაბმულობით ინვესტს ყველაფერსა და ყოველივეს ჰქონდეს მარადიული დაბადება და სიცოცხლე თავის თავში. მამა ღმერთი (კაცი) თავის თავშია მამრობითის (ხვადი) და მდედრობითის (ძე) აბსოლუტური ფუნქცია, ამიტომ წუთისოფლის შემოქმედი პროგრამის მოქმედების დროს უწყვეტი პროცესის სახით მიმდინარეობს თესლის შობა და მისი გასახიერება—განაყოფიერება—მატერიალიზაცია მთელ უსასრულო სამყაროში.

მამა  $4 + 1 + 2 + 1 + 4 + 5 + 2 + 1 = 20$ (ს) მამა ღმერთის ფუნქცია  
 ძე  $ღ+ა+ბ+ა+ღ+ე+ბ+ღ=20+20=40=$ სხეული(4) თესლისგან (0)  
 სულ.წმ.  $4 + 1 + 2 + 1 + 4 + 5 + 2 + 1 = 20$  (ს) სულიწმიდას ფუნქცია

მამა ღმერთი (კაცი) თავის თავშია მარადიული დაბადების პროცესი, ამიტომ მას მარადიული სიცოცხლე აქვს თავის თავში, ანალოგიურია ყველაფერი და ყოველივე სიცოცხლის ბორბალზე ტრიალით.



მამა ღმერთი თავის თავშია **ბაბა** (მამრობითი ფუნქცია) და **დედა** (მდედრობითი ფუნქცია), რომელიც ქმნის საკუთარ მარადიულ სიცოცხლეს, შესაბამისად მან ძეს და ყველაფერს მისცა მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს თავის თავში. მამა ღმერთი თავისთავშია ბაბა (მწერალი) და დედა (წიგნი) – სიცოცხლის მარადიული წერა (ჯვართი წერა).

დედამინაზე მამრობითი სქესის ადამი (კაცი) და მდედრობითი სქესის ადამი (კაცი) ცოლ–ქმრული აქტით ასრულებენ მამა ღმერთის მისიას, რომელიც ინფორმაციული კავშირით მიერთებულია მამა ღმერთის მოაზროვნე სულის საინფორმაციო ცენტრთან. ამიტომ თითოეული ადამიანის ჩასახვა წყდება მამა ღმერთის ნიაღში, პარალელურად ინფორმაციული კავშირით ჩასახვა ხდება ცოლ–ქმრული აქტით, რაც კი ხდება დედამინაზე და უკიდევანო სამყაროში, ჯერ იგი ხდება მამა ღმერთის სულის საინფორმაციო ცენტრში. მამა ღმერთის ნების გარეშე არაფერი ხდება!

მამა ღმერთი (კაცი) მოქმედებს და შემოქმედებს მარადიული სიცოცხლის აღწარმოების ორი პროგრამის წიგნით (გეგმით, პროექტით, კანონის წიგნით).

წუთისოფლის შემოქმედ ექვს(6) დღიან პროგრამის წიგნს ჰქვია **„ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა“**; სასუფევლის შემოქმედ ორმოცდაცხრა (49) დღიან პროგრამის წიგნს კი – **„ხე სიცოცხლისა“**.

როდესაც მამა ღმერთი მოქმედებს (შემოქმედებს) ექვს (6) დღიანი პროგრამის წიგნით, მის სხეულს (ეკლესიას) ეწოდება ადამის ცოლი **მემა** (კაცობრიობის ცოდვილი სხეულის შემოქმედი დედა). ამიტომ ცოცხალი და გარდაცვლილი **n**–რაოდენობის კაცობრიობა არის მამა ღმერთისა და მისი ცოლის (სხეულის) **მემა** ნიაღიდან დაბადებული. სამღვდელოებას და თეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ღმერთმა შექმნა ხორციელი კაცი, მისი ნეკნისგან შექმნა ევა, შემდეგ ისინი გახდნენ ცოლ–ქმარი და მათგან წარმოიშვა **6–7** მილიარდი – ოთხი ფერისა და მრავალ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობა. ბუნებრივია, კოდური შიფრით დაწერილი ბიბლიის სწორ წაკითხვას თეოლოგებმა არჩიეს პროფანური ზღაპარი...

ქრისტეშობიდან წუთისოფლის დასასრულამდე მამა ღმერთის სხეულს (ეკლესიას) ეწოდება წმიდა მარიამი (კაცობრიობის ჯვარცმით აღდგომის სხეულის შემოქმედი დედა). ხოლო, როდესაც მამა ღმერთი (კაცი) ამთავრებს თავისი შესაქმის ექვს(6) დღეს და იწყებს შესვლას მეშვიდე დღის სასუფევლის ეპოქაში, მის სხეულს ჰქვია სულიწმიდა (კაცობრიობის უცოდველი, უხრწნელი სხეულის შემოქმედი დედა–დედოფალი).

მამა ღმერთის (კაცის) ნათელი სხეული წარმოადგენს მდედრობით მატრიცას, ხოლო მისი სული კი –მამრობით მატრიცას. მდედრობითი მატრიცა იწერება მარჯვნიდან მარცხნივ (**9,8,7,6,5,4,3,2,1**); ხოლო მამრობითი მატრიცა იწერება მარცხნიდან მარჯვნივ (**1,2,3,4,5,6,7,8,9**). მამა ღმერთის სულიერ–სხეულებრივი აზროვნება–შემოქმედების სისტემა იწერება:

$$\begin{array}{l}
 \mathbf{1 + 2 + 3 + 4 + 5 + 6 + 7 + 8 + 9 = 45} \text{ — სვადი} \\
 \mathbf{9 + 8 + 7 + 6 + 5 + 4 + 3 + 2 + 1 = 45} \text{ — ძე} \\
 \mathbf{10+10+10+10+10+10+10+10+10=90} = \text{გონიო} = \text{მართალი}
 \end{array}
 \quad \left. \begin{array}{l} \\ \\ \\ \end{array} \right\} \text{მამა ღმერთი}$$

მამა ღმერთის (კაცის) და ძე კაცის (იესო ქრისტეს) მოაზროვნე სული ყოველთვის დგას გონიოზე, ანუ სიმართლის შემოქმედ აზროვნებაზე. ამიტომაც არის ამოტვიფრული გონიო სუჭტიცხოველის ჩრდილოეთ ფასადზე, რომელზედაც ადევს მამა ღმერთის (კაცის) მარჯვენა. ამიტომ ეწოდება საქართველოს **ღმერთისაგან ხელდაუშული ძმეყანა** (გიორგია). ამინ!

ადამიანი თავისი სულის მატრიცით (**1,2,3,4,5,6,7,8,9** და **36** ასომთავრული ანბანით **36+9=45**) ამოძრავებს და ამოქმედებს თავის ხორცის სხეულის მატრიცას (**9,8,7,6,5,4,3,2,1** და **36** ასომთავრული ანბანით **36+9=45**). **45+45=90**=გონიო=მართალი. სულის მატრიცა არის სხეულის მატრიცის გასაღები (**კილა**) და — პირიქით.

მანამ, სანამ თანამედროვე წუთისოფელი დაიწყებოდა, ჩვენ, ხორციელი (ცოცხალი) კაცობრიობა და **n**–რაოდენობის მიცვალებულები, ვიმყოფებოდით სამოთხეში, მამა ღმერთის (კაცის) სახლში. შესაბამისად, გვქონდა სულის ნათელი სხეული და სრულყოფილი აზროვნება, მართალი გაგება და **100%** სწორი შექმენება. ასეთ მდგომარეობაში ჩვენ ვიყავით **49** დღის (ორმოცდაცხრა მილიარდი წლის) განმავლობაში, მამა ღმერთის (კაცის) **49** დღიან პროგრამას ეწოდება **„ხე სიცოცხლისა“** (სასუფეველი). მოცემული

პროგრამის ამონურვით იწყება ექვს(6)დღიანი (ექვს მილიარდწლიანი) პროგრამა, რომელსაც ეწოდება „**სამოთხისა და ზოროტის შეცნობისა**“ (წუთისოფელი), რომელზედაც დგას მამა ღმერთის (კაცი), **ნ**-რაოდენობის კაცობრიობის (ღვთის შვილების), **ი**-რაოდენობის ფაუნის, **ი** რაოდენობის ფლორის, დედამინის, მთვარის, პლანეტების, მზის, ვარსკვლავების, ზოდიაქოების, გალაქტიკებისა და უკიდევანო სამყაროს მარადიული არსებობა.

მამა ღმერთი (კაცი) თავის თავშია ორი საინფორმაციო პროგრამის წიგნი (მარადიული სიცოცხლის აღწარმოების წიგნი), შესაბამისად ყველაფერი და ყოველივე თავის თავშია ორი საინფორმაციო პროგრამის წიგნი (მარადიული სიცოცხლის აღწარმოების წიგნი).

როდესაც მამა ღმერთი (კაცი) თავის თავში ამონურავს სასუფეველის 49 დღიან (ორმოცდაცხრა მილიარდ-



**კოსმიური კვერცხი**



წლიან) საინფორმაციო წიგნის შინაარსს, ავტომატურად იწყებს გადასვლას წუთისოფლის 6 დღიან (ექვს მილიარდწლიან) საინფორმაციო წიგნზე. როგორც კი მამა ღმერთი გადაერთევა წუთისოფლის ანუ ფერიცვალეზადი, ხრწნადი, გრავიტაციული ველის მქონე სამყაროს საინფორმაციო პროგრამის წიგნზე, მაშინათვე ნათელი ბირთვის ირგვლივ შემოინერება კვერცხის ფორმის ცისარტყელის გარსი. (იესო ქრისტე ჯვარცმიდან აღდგომით და ინფორმაციული კავშირით ტეხს კოსმოსურ კვერცხს და მამა ღმერთი გადაჰყავს სასუფეველის ეპოქის პროგრამაზე, ამიტომაა იგი კაცობრიობის მხსნელი მომაკვდინებელი ცოდვებისაგან). როგორც კი მამა ღმერთში ჩაირთვება წუთისოფლის შემოქმედი საინფორმაციო პროგრამა, შესაბამისად სამოთხის **ნ**-რაოდენობის კაცობრიობის შინაარსში ამოქმედდება ანალოგიური საინფორმაციო პროგრამა და ისინი გამოსვლას იწყებენ სამოთხის ნათელი ბირთვიდან (ღვთის სახლიდან). სამოთხის **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა გალაქტიკის ცენტრიდან შესაბამისი საინფორმაციო არხებით ეშვება თავისი ხორციელი დაბადების წლისა, თვისა და დღის ზოდიაქოებისაკენ. აი, ასეთია სინამდვილეში „ცოდვილი ადამის“ გამოძევების სისტემა სამოთხიდან ჯოჯოხეთში (ქვესკნელში). როგორც კი სამოთხიდან გამოსული **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა მოთავსდება მათთვის განკუთვნილ 12 ზოდიაქოში, უსასრულო სამყარო

*„თქვა ღმერთმა იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად – დღეებისა და წელიწადებისა“ (დაბ. 1,14)*





**მამა ღმერთის მოაზროვნე სულის პროგრამის წიგნი**

(ანალოგიურია ადამიანისა და ყველაფრის მოაზროვნე სულის პროგრამის წიგნი)

12 ზოდიაქოში შესულ კაცობრიობას ეწოდება მამა ღმერთის წმიდა ისრაელის თორმეტი (12) ტომი. ზოდიაქოებში შესული სულის სხეულიანი კაცობრიობა პროგრამული ზემოქმედებით გადაიქცევა კოსმიურ თესლად (გრაალის თასად) და სათანადო საინფორმაციო არხით შედის მზის გულში. მზე წარმოადგენს სამოთხის კარს. თესლად გადაქცეული სამოთხის კაცობრიობა მზის გულში ლაგდება ენებად, ერებად, გვარებად, ტომებად, ისეთად, როგორიც იყო იგი წინარე წუთისოფელში, ანუ პიროვნების ენობრივი, ეთნიკური, ტომობრივი, რელიგიური კუთვნილება მარადიულია, მისი ბედისწერის ისტორიაც მარადიულია.

მამა ღმერთიდან გამომდინარე, მთელი უკიდევანო სამყარო იწყებს გადასვლას სულის უზრუნველი (სასუფეველის) სხეულიდან წუთისოფლის ფერიცვალებად, ხრწნად სხეულში. შესაბამისად, დედამინა სულის სხეულიდან სამი (3) ათასი წლის განმავლობაში გადადის წყლის ფერიცვალებად, ხრწნად სხეულში, რომელშიც მზე, კოსმოსური ნათელი ჭიპით (მილით) თესავს სამოთხის თესლად გადაქცეულ n-რაოდენობის კაცობრიობას. ამიტომ გვეუბნება ლეთაებრივი ბიბლია: *„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა, მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულებზე და სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ.“* (დაბ.1,1-2). ანალოგიურად ხდება ბავშვის ჩასახვა და განვითარება დედაკაცის საშვილოსნოს წყალში.

ხდება ფერიცვალებადი (ხრწნადი). პლანეტები, ვარსკვლავები და უკიდევანო კოსმოსი იწყებს გადალაგებას წუთისოფლის პროგრამის რეჟიმში.



...თითქმის ანუ ნებისმიერ შემთხვევაში ანალოგიური სულის ფერიცვალება და მისი განვითარება უკიდევანო სამყაროში ხდება მარადიულია.

წმიდა მამები გვასწავლიან: ღმერთმა სამოთხიდან გაძევებული ადამის (კაცობრიობის) ხორცის სხეული ისრაელის მიწიდან აიღო. დიახ, კოსმოსურ ისრაელში გადაიქცევა კაცობრიობა **ნ**-რაოდენობის თესლად, რომელსაც ღმერთი თესავს წყლის ფაფად ყოფიერ დედამიწაზე (კოსმოსურ სამვილოსნოში). ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: **„უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დააძინა (გადააქცია კოსმოსურ თესლად) გამოულო ერთი ნეკნი (ანუ მისი სულის სხეული გადააქცია თესლად) და მის ადგილას ხორცი ჩაუდო.“** (დაბ.2,21).

მამა ღმერთის (კაცის) საინფორმაციო ცენტრი უნივერსალური ინფორმაციული კავშირით და უზუსტესი ტელეეკრანული სისტემით ყველაფრისა და ყოველივეს არსებობას განაგებს, ხედავს, აღრიცხავს, ადოკუმენტებს და ასაბუთებს. მამა ღმერთის საინფორმაციო ცენტრს ნებისმიერ დროს შეუძლია ცის ეკრანზე გვაჩვენოს პიროვნებისა და უკიდევანო სამყაროს ნებისმიერი ადგილის წარსული, აწმყო და მომავალი. ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: უფალი ღმერთი ყველაფერს ხედავს, ისმენს და აკონტროლებსო. მარტივი სქემატური ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ **12** ზოდიაქო, მზე, მთვარე და დედამიწა წარმოადგენს მამა ღმერთის კოსმიურ საათსა და კალენდარს...

როგორც კი სამოთხის **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა **12** ზოდიაქოს სავანეებში თესლად გადაიქცევა, სამოთხიდან მზის გავლით დედამიწაზე დაემგება ნათელი სუჭტი (სუჭტიცხოველი). როგორც კი ეს მოხდება, მზის გულში არსებული თესლად გადაქცეული სამოთხის **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა ითესება დედამიწის სავანეში (სამვილოსნოში), (მზიდან-გრაალის თასიდან ითესება **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა, **ნ**-რაოდენობის ფაუნა და **ნ**-რაოდენობის ფლორა).

ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია: **„თქვა ღმერთმა იყოს ნათელი და იქმნა ნათელი. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა, ნათელი და ბნელი.“** (დაბ.1,3-4). წმიდა ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ ნათელი და ბნელი არის იგივე ნუთისოფლის დასაწყისი და არა საერთოდ ღმერთისა და სამყაროს არსებობის დასაწყისი. ჩვენ (კაცობრიობა) ვიმყოფებით მარადისობაში, ამიტომ როგორ შეიძლება მარადისობაში რაიმეს დასაწყისი და დასასრული ჰქონდეს?! ეს ხომ აბსოლუტური ალოგიკაა. თფუი ეშმაკს – ადამიანის უმეცრებას.

როგორც გავარკვიეთ, კოსმოსური ისრაელის თორმეტი ტომი ყოფილა დედამიწაზე მცხოვრები **6-7** მილიარდი რაოდენობის კაცობრიობა და მიცვალებული **ნ**-რაოდენობის კაცობრიობა. რამდენი კაცი გახდება კოსმიური ისრაელის **12** ტომის თესლი, ზუსტად იმდენივე დაიბადება დედამიწაზე და მზისა და **12** ზოდიაქოს (ისრაელის) გავლით ისევ ბრუნდება სამოთხეში – **მამა ღმერთთან** (კაცთან).

მამა ღმერთის მიერ უწყვეტი პროცესით შექმნად სამყაროში არაფრის გამრავლება და კლება არ არსებობს, არამედ არსებობს ღვთის მიერ ჩადებული პროგრამის აღსრულება-გასახიერება. აქედან გამომდინარე, რამდენი ქართველი, რუსი, გერმანელი და ა.შ. დაიბადება დედამიწაზე, ეს ღვთის სიცოცხლის წიგნით წინასწარ განსაზღვრულია ნუთისოფლის შექმნამდე. ამიტომ ილია მეორის მიერ სტიმულირება ბავშვების მონათვლითა და ფინანსური დახმარებით, რომ ქართველები თითქოსდა გამრავლდებიან, არის ღვთის რჯულის აბსოლუტური უცოდინარობა და ბავშვთა მონათვლით საეკლესიო წესდების ბოროტი დარღვევა (სულიერი ნათესაობის კანონის აბუჩად აგდება არის გამჩენთან ბრძოლა).

ციფრი **6** (ექვსი) არის ხორციელი ადამიანისა (კაცობრიობისა) და ნუთისოფლის ნიშანი (მხეცი-666). ციფრი **9** (ცხრა) არის სასუფეველის ადამიანისა (კაცობრიობისა) და სამოთხის ნიშანი.

როდესაც მამა (ღმერთი) ცხრადან ექვსს გ-ავა,  
სამოთხის შვილნი ისრაელს რ-ავა,  
როდესაც მამა ექვსზე გად-ავა,  
სულის სხეული თესლად გარდ-ავა.

როდესაც მამა (ღმერთი) ექვსით ცხრას გ-ავა,  
ქრისტე მცხეთიდან ისრაელს რ-ავა,  
როდესაც მამა ცხრაზე გარდ-ავა  
ხორცი და სისხლი სულში გად-ავა.

შევეცდები ძალიან მოკლედ აგიხსნათ, როგორ და რანაირად ხდება წყლის ქაოსისა და სტიქიის პლანეტაზე (დედამიწაზე-სამვილოსნოში) ჩათესილი სამოთხის **ნ**-რაოდენობის კაცობრიობის (თესლის) აღდგომა-გასახიერება-განვითარება. წყლის პლანეტა დედამიწაზე მოხვედრილი კოსმიური თესლი და მდებრობითი სქესის სამვილოსნოში მოხვედრილი თესლი აბსოლუტურად ერთნაირი სისტემაა (ერთი-დაიგივეა).

ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას ექვს (6) დღეში ალგორითულ-იგავური გაგება აქვს, ამიტომ ბიბლიური საიდუმლო სტაბუ შესაბამის ახსნა-განმარტებას მოითხოვს.

მამა ღმერთის (კაცის) დროით ერთი დღე უდრის 12 საათს, რომელიც დედამიწიერი დროით უდრის ათას (1000) წელს, შესაბამისად მამა ღმერთის ერთი (1) საათი უდრის დედამიწის 83,3 წელს. ერთი წუთი უდრის 1,39 წელს (16,7 თვეს) – ერთი წამი უდრის 8,45 დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მარადისობაში დრო პირობითი გაგებაა, ანუ ფერისცვალებადი სხეულების ჩასახვისა და განვითარების დასათვლელი სისტემაა, დროს წუთისოფელში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას ექვს (6) დღეში არა აქვს პირდაპირი გაგება:  $6 \times 12 = 72$  საათს. თითქოსდა ღმერთმა თესლიდან კაცობრიობა და ყველაფერი შექმნდა  $6 \times 1000 = 6000$  წლის მონაკვეთში. ეს რბილად რომ ვთქვათ, სასაცილოა.



ადამიანის, ფლორისა და ფაუნის წუთისოფლის დასაბამის სიცოცხლის ფორმა

ვთქვათ, მამრობითმა სქესმა და მდედრობითმა სქესმა ხორციელ-სქესობრივ აქტს მოანდომა ერთი წუთი, რის შედეგადაც ჩაისახა ბავშვი. ჩანასახის მომწიფებასა და გასახიერებას სჭირდება ცხრა (9) თვე (დაახლოებით 400 ათასი წუთი). ანალოგიურად, მამა ღმერთის ერთი დღე უდრის 12 საათს და ეს უდრის ათას (1000) წელს. ეს დრო უნდა ჩავთვალოთ კოსმოსური ინფორმაციული აქტის დროდ, ხოლო მისი მომწიფებისა და გასახიერების პროცესი გრძელდება ერთ მილიარდ წელიწადს.

მარტივი ლოგიკა გვეუბნება, წყლის პლანეტა დედამიწა რომ წუთისოფლის დასაბამიდან ჩამოყალიბდეს თანამედროვე გეოლოგიურ და გეოგრაფიულ სახედ, მან უნდა გაიაროს ექვს (6) მილიარდწლიანი შექმნის დინამიკა. შესაბამისად, წყალში დათესვით წარმოშობილი თევზის ხიზილალის კვერცხუჯრედიდან და პანანა თევზის ლიფსიტებიდან თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებას ურთულეს ანთროპოგენად (ღვთის ხატად) სჭირდება ექვსი(6) მილიარდი წელიწადი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწამ, კაცობრიობამ, ფაუნამ, ფლორამ, მთვარემ, პლანეტებმა, მზემ, ზოდიაქოებმა, ვარსკვლავებმა და უკიდევანო სამყარომ წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე გამოიარა აღდგომა-განვითარების  $6 \times 6 = 36$  საფეხური, ანუ მამა ღმერთის (კაცის) მოაზროვნე სულმა გაიარა საინფორმაციო ტექსტის ექვს (6) მილიარდწლიანი გზა (ტექსტის ნაკითხვასა და გადმოცემას მოანდომა ექვსი (6) მილიარდი წელიწადი).

ისევ ვიმეორებ, რაც კი ხდება დედამიწასა და უკიდევანო სამყაროში, გამომდინარეობს მამა ღმერთის პროგრამის საინფორმაციო წიგნიდან. რასაც გადმოსცემენ ჟურნალისტები სატელევიზიო ცენტრის დარბაზიდან, იგივეს აჩვენებენ მოსახლეობას ტელეეკრანები. ესაა აბსოლუტური პარალელი და ანალოგია, რომელიც აჩვენებს, რომ მამა ღმერთის საინფორმაციო პროგრამა და სამყაროში მიმდინარე პროცესები აბსოლუტურად ურთიერთკავშირშია, ანუ მამა ღმერთის საინფორმაციო პროგრამიდან გამომდინარეობს უკიდევანო სამყაროში მიმდინარე პროცესები. ესაა ერთიანი ტელე-რადიო-სატელეფონო-სატრანსლაციო სისტემა და ეკრანიზაციის სისტემაც. ასეთია მარტივად წარმოდგენილი მამა ღმერთი, შემოქმედი და უკიდევანო სამყაროერთიანობა.

როგორც ზემოთ გითხარით, წუთისოფლის დასაბამიდან  $6 \times 6 = 36$  საფეხურის აღდგომა-განვითარებას გადის დედამიწა და მასში ჩათესილი  $\Pi$ -რაოდენობის სამოთხის კაცობრიობა, რის შემდეგ იგი ხორცის მომაკვდავი (ხრწნადი) სხეულის ნაცვლად ლებულობს სულის (სასუფევლის) უხრწნელ სხეულს. ამრიგად, მამა ღმერთი თავის ორი პროგრამით სამოთხის სულის სხეულიდან კაცობრიობას გადააქცევს ხორცის სხეულიან კაცობრიობად, ხოლო ხორცის სხეულიან კაცობრიობას გადააქცევს სულის სხეულიან სამოთხის კაცობრიობად და თვითონაც ისვენებს ყოველი საქმისაგან, ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია: **„გაასრულა ცა და მიწა, მთელი მორთულობებითურთ, გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა, აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა უფალმა ღმერთმა ყოველი საქმისაგან, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა. ასეთი იყო ცისა და მიწის შექმნა, როცა ქმნიდა უფალი ღმერთი ცას და მიწას.“** (დაბ.2,1-4).

ძალიან მარტივად თუ ვიტყვით, მამა ღმერთი, საკუთარი წმიდა და მართალი აზროვნებით (სიტყვით) ქმნის საკუთარ-მარადიულ სიცოცხლეს, ამასთან ერთად, მას უყვარს შექმნას თავისი შვილების მარადიული სიცოცხლე, მას უყვარს უსასრულო სამყაროს ციურ სხეულთა ურთიერთშეთანხმებული სისტემების მოდელირება, მას უყვარს ფუტკარი და ის სიყვარულით ეპყრობა ყველაფერს, ამიტომაც მა-

რადიულია ყველაფერი. ის ფერფლიდან, არარაობიდან აღადგენს მკვდარი ადამიანის სხეულს, ფაუნის სხეულს, ფლორის სხეულს. საოცარი ისაა, რომ ის კლავს და სიკვდილიდან აღადგენს, ის სპობს, რათა ახალი სიცოცხლე მიაწოდოს, კლავს დაბალ ხარისხში მყოფს და მას აღადგენს მაღალი ხარისხის სიცოცხლეში; სპობს უგუნურს და აღადგენს გენიოსს. კიდევ რა გითხრათ, გენიოსი რუსთაველის თქმისა არ იყოს, ენა დაშვრება, სიტყვა დაიღვევა და ადამიანი ვერ შეძლებს გადმოსცეს ღმერთის სიყვარულის სიდიადის განზომილება. ღმერთმა ყველაფერში ჩადო შემოქმედებითი უნარი, რათა ყველაფერს ჰქონდეს დანიშნულებითი ფუნქცია (მისია), რითაც ხარობს ყველაფერი და ყოველივე.

ახლა მოვუსმინოთ ღვთაებრივ პავლე მოციქულს, რომელიც ადვილად და გასაგები ენით გვეუბნება თუ როგორია კაცობრიობის სამოთხის სულის სხეული, რომელიც ითესება ღვთისგან დედამიწაზე, რომ თესლისგან აღდგება ხორცის მშვინივერი სხეული და ეს დამცირებული ხორციელი კაცობრიობა ღვთისგან აღდგება სულის მაცოცხლებელ სხეულში:

**„მაგრამ იტყვის ვინმე: როგორ აღდგებიან მკვდრები და რომელ სხეულში მოვლენო? უგუნურნო! რასაც დათესავ, არ გაცოცხლდება თუ არ მოკვდა (ადამიანის ხორცის სხეულს კლავს შემოქმედი, რათა მაღალი რანგის სიცოცხლეში აღადგინოს.). და როცა დათესავ, იმ სხეულს კი არა თესავ, რომელიც იქნება, არამედ მიშველ მარცვალს—ხორბლისას ან რომელიმე სხვას, ხოლო ღმერთი აძლევს მას სხეულს, როგორც ნებას თითოეულ თესლს თავის სხეულს (ნებისმიერ თესლს ღვთისგან გენეტიკურ კოდში ინფორმაციულად უწერია როგორი სხეული შეიქმნას მისგან).**

**ყოველი ხორცი ერთი ხორცი როდია, არამედ ადამიანის ხორცი სხვანაირია, ცხოველის ხორცი სხვანაირი, ფრინველის ხორცი სხვანაირი, თევზის – სხვანაირი. არიან ციური სხეულები (მხედველობაშია გარდაცვლილი ადამიანის მეტაფიზიკური სხეული და სამოთხის სულის სხეული) და არის მიწიერი სხეულები, მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა – სხვა. სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განსხვავდება ვარსკვლავისაგან დიდებით.**

**ასევეა მკვდრებით აღდგომაც: ითესება სრწნილოვით და აღდგება უსრწნალოვით (აქ ყველაფერია ნათქვამი). ითესება დამცირებით (სულის სხეულის გადაქცევით თესლად) და აღდგება დიდებით (ანუ ხორცის სხეული გადაიქცევა სულის სხეულად); ითესება უძლეურობაში და აღდგება ძალით (სულიწმიდას მადლით); ითესება მშვინივერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული. არის მშვინივერი სხეული და არის სულიერი სხეული. ესეც წერია, პირველი კაცი ადამი გახდა ცოცხალ მშვინად, უკანასკნელი ადამი – მაცოცხლებელ სულად.“ (1 კორინ.35–45).**

ქრისტეშობამდე სამასი (300) ათასი წლის წინ ღვთის ნებით საქართველოში ჩაისახა და განვითარება დაიწყო მართლმადიდებლურ–გიორგიანულმა ინსტიტუტმა. მოცემულმა ინსტიტუტმა 280–290 ათასი წლის განმავლობაში შექმნა და ჩამოაყალიბა სრულყოფილი ქართული სამება დამწერლობა(ლაზარე):

ასომთავრული, ხუცურული და მხედრული. მოცემული დამწერლობიდან თანდათანობით განვითარდა სამი სასულიერო–საგანმანათლებლო ენა: **ძამი** (სვანური ქართული), **სამი** (მეგრული ქართული) და **იაფთი** (იბერიული ქართული). ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია:

**„შხოლოდ ნოეს ეპოვა მადლი უფლის თვალში. ეს არის ამბავი ნოესი, მართალი (მართლმადიდებელი), სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში, ღმერთთან დადიოდა ნოე (ანუ ინფორმაციული კავშირგაბმულობით მამა ღმერთს ესაუბრებოდა ნოე), შვა ნოემ სამი ვაჟი: სამი, ძამი და იაფთი... უთხრა ღმერთმა ნოეს: გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან (მხედველობაშია ღვთის რჯულის წიგნისა, წმიდა წერილებისა და სასულიერო–საგანმანათლებლო პროგრამების ჩასადები ხის კიდობანი. კიდობანი კოდური შიფრით დაწერილ წიგნსაც გულისხმობს), ბუდეები გაუკეთე კიდობანს (მხედველობაშია სასულიერო ცოდნის დასაბადებელი რიცხობრივ–ანბანური დამწერლობა და დამწერლობით შედგენილი ღვთის სიტყვა), შიგნით და გარეთ შეფისე (ანუ დამწერლობისა და სიტყვის შინაარსი გაასაიდუმლოე). ამგვარი უნდა ააგო იგი: სიგრძით სამასი წერთა იყოს კიდობანი (გასალები=ტ=21/300). (ინსტიტუტის დაარსებიდან ქრისტემდე დევს სამასი ათასი წელი), სიგანით – ორმოც-**



**ქართველ მართლმადიდებელ (ტ) არიელ ქურუმთა მთავარი ემბლემა – გონი-ო**  
(ეს მთავარი ემბლემა აღბეჭდილია სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ ფასადზე)

# დაბადება

მამა, სიტყვა, სულიწმიდა

სული, წყალი, სისხლი



$$1+2+3+4=10(0)$$

$$10=1+0=1=პროგრამას$$

$$6+7+8+9=30(ძ)$$

$$30=3+0=3=სამებას$$

ადამ (სული)

ევა (სხეული)

ინფორმაციის წყარო

სახედქმნილი ინფორმაცია

კოდი = სულიერ-სხეულური დაფორმებას	1	2	3	4	5	6	7	8	9	⊙ თესლი
	ა(4)	ბ(4)	გ(4)	დ(4)	ე(4)	ვ(4)	ზ(4)	თ(4)	ი(4)	4x9=36
	ო(4)	პ(4)	ჟ(4)	რ(4)	ს(4)	ტ(4)	ყ(4)	შ(4)	ჩ(4)	4x9=36
	ც(4)	ძ(4)	წ(4)	ჭ(4)	ხ(4)	ყ(4)	ღ(4)	ვ(4)	შ(4)	4x9=36
	ჩ(4)	ც(4)	ძ(4)	წ(4)	ჭ(4)	ხ(4)	ყ(4)	ღ(4)	ვ(4)	4x9=36
	16	16	16	16	16	16	16	16	16	16

ბეთ (16/16)=სულის ძალას და ლევი (40/85)=სხეულის ძლევა მოსილებას

მამა ღმერთი თავის თავშია ბაბა (სული=მწერალი) და დედა (სხეული=ნიგნი), ამიტომ ყველაფერი და ყოველივე თავის თავშია დაბადების წიგნი. დამწერლობითი კოდი ლაზარე არის მამა ღმერთის სულის სამრეკლო, რომლითაც იგი ქმნის სიტყვას. ამინ

ბაბა

კოდი —  $\frac{დ+ა+ბ+ა+დ+ე+ბ+ა}{დედა}$  = მამა ღმერთს

დედა

ყველაფერი და ყოველივე ინფორმაციულად ჩაისახება და იბადება მამა ღმერთის წიაღში (ბეთლემში), შემდეგ საკუთარი არსების შინაარსში (ბეთლემში), ამიტომ ქრისტე იშვა ბეთლემსაო ალი ლო.

**დაათი წერთა** (ქართული დამწერლობითი კოდი 50 ერთეულისგან შედგება), **სიმაღლით—ოცდაათი წერთა** (მხედველობაშია 30 წლის იესო, რომელიც სახარების ქადაგებას იწყებს 30 წლის ასაკიდან).“

ნოეს სრულყოფილი სამება დამწერლობიდან (ასომთავრული, ხუცური და მხედრული), მართლმადიდებლური რჯულის წიგნიდან და სასულიერო—საგანმანათლებლო პროგრამიდან გამოვიდა (შეიქმნა) სამი კოლხური ცივილიზაცია. პატრიარქი ადამიდან ნოემდე სვანური ენით (ქამი) რვა (8) ათასი წლის განმავლობაში შეიქმნა პირველი კოლხური ცივილიზაცია, რომელმაც თანდათანობით მთელი დედამიწა მოიცვა. პატრიარქი სემიდან ფარნავაზ—ქუჯის ისტორიულ მოღვაწეობამდე 5500 წლის განმავლობაში მეგრული ენით (სემი) შეიქმნა მეორე კოლხური ცივილიზაცია, რომელმაც თანდათანობით მთელი დედამიწა მოიცვა, ხოლო ფარნავაზ—ქუჯის ისტორიული მოღვაწეობიდან მეოცე (XX) საუკუნის დასასრულამდე 2500 წლის განმავლობაში იბერიული ენით (იაფეთი) შეიქმნა მესამე და დამამთავრებელი კოლხური ცივილიზაცია, საიდანაც დანარჩენმა კაცობრიობამ ისწავლა წერა—კითხვა, შესაბამისად შექმნა სასულიერო ინსტიტუტები, მატერიალისტური განათლების სისტემები (ჩამოაყალიბეს ეროვნული სახელმწიფოები, შექმნეს ტექნიკური ცივილიზაციები, განავითარეს სოფლის მეურნეობა, მწერლობა, პოეზია, მუსიკა, არქიტექტურა, მშენებლობა და ყველაფერი ის, რაც კი გააჩნია თანამედროვე მსოფლიო—კაცობრიობას.)

თანამედროვე მსოფლიოს სასულიერო პირები (სამღვდელოებები) და მეცნიერები ვერ ერკვევიან, თუ რას და ვის ნიშნავს ქამიტები, სემიტები და იაფეთიდები, ბიბლიის მიხედვით ქამი ნიშნავს ნოეს პირველ მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და სვანურ ქართულს (ლაზარეს); სემი ნიშნავს მოსეს მეორე მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და მეგრულ ქართულს (ლაზარეს); იაფეთი ნიშნავს იესოს მესამე მართლმადიდებლურ რჯულს (წიგნს) და იბერიულ ქართულს (ლაზარეს).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოს ხალხები (ენები), რომლებიც მისდევენ ნოეს პირველ მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულიერი სიმწიფის ხარისხით არიან ქამიტები (სვანური ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი). ის ხალხები (ენები), რომლებიც მისდევენ მოსეს მეორე მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულის სიმწიფის ხარისხით არიან სემიტები (მეგრული ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი). ის ხალხები (ენები), რომლებიც მისდევენ იესოს მესამე მართლმადიდებლურ რჯულს, თავიანთი სულიერი სიმწიფის ხარისხით არიან იაფეთიდები (იბერიული ქართულის თანაფარდი სუბსტანციის მქონენი.)

ამიტომ გვეუბნება წმიდა ბიბლია: **„ესენი იყვნენ ნოეს შვილები, კიდობნიდან რომ გამოვიდნენ: სემი, ქამი და იაფეთი. ქამი** (სვანური ენა) **იყო ქანანის მამამთავარი** (ე.ი. ნოეს მოღვაწეობის დროს ქვეყნიერების ერთადერთი სასულიერო—სამეცნიერო ენა იყო **ქამი** — სვანური ქართული ენა). **ეს სამნი იყვნენ ნოეს შვილები, მათგან მთელი დედამიწა იქნა დასახლებული** (დიახ, საქართველოდან ნასწავლი წერა—კითხვით დასახლდა და შექმნა კაცობრიობამ სულიერ—მატერიალური ცივილიზაცია).

**დაიწყო ნოემ მინის მუშაკობა და გააშენა ვენახი** (ვ—ენა—ხი ანუ გააშენა დამწერლობისა და სასულიერო ენის შემსწავლელი ინსტიტუტი, შესაბამისად შექმნა მართლმადიდებლური მოძღვრებით ხალხთა განათლების ინსტიტუტი). **შესვა ღვინო, დათურა და გაშიშვლდა თავის კარავში.** (მე ვარ ვაზი ჭემმარტი, მამაჩემი მევენახეა, დალიეთ ჩემი სისხლი ღვინოა იგი, ჭამეთ ჩემი ხორცი პურია იგი—სახარება), **დაინახა ქამმა, ქანანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას** (წმიდა წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ნოეს მოღვაწეობის დროს მეგრული ენა (სემი) და იბერიული ენა (იაფეთი) არ არსებობდა და, თუ არსებობდა, იგი არ იყო სასულიერო—სახელმწიფო ენა, ანუ იმყოფებოდა გარეთ და თავის მისიის მოსვლის უამს უცდიდა. ამინ!) **აიღეს სამმა და იაფეთმა სამოსელი** (სა—მოსე—ლი), **მოისხეს მხრებზე, უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე. პირი უკან ჰქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ.**“ (დაბადება თავი 6,7,8,9).

წმიდა ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ ნოეს მართლმადიდებლური წიგნი, წმიდა წერილი დაწერილია ქართული სამება დამწერლობითა და სვანური (ქამი) ენით. ამიტომ გვეუბნება წმიდა წერილი: „დაინახა ქამმა, ქანანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე ე.ი. ნოემ მისი სულის უხილავი ინფორმაცია გააშიშვლა და თვალთ დასანახი გახადა, სვანურ ენაზე დაწერილი სიტყვებით სვანური ენით დაწერილმა რჯულის წიგნმა (ნოეს ეფუთმა, ნოეს კიდობანმა) შეატყობინა სემსა და იაფეთს ღვინის სიტყვა. სემმა და იაფეთმა კი სვანურ ენაზე დაწერილი ნოეს რჯულის წიგნი დაფარეს და შეინახეს იესოს (მესიის) დედამიწაზე მეორედ მოსვლის დრომდე. ამინ!

როგორც წმიდა ბიბლიიდან ირკვევა ნოეს სამ ძემი (შვილებში) იგულისხმება სამება ქართული დამწერლობა: მხედრული, ხუცური და ასომთავრული. სამება ქართული ენა, — სვანური ქართული (**ქამი**), მეგრული ქართული (**სემი**) და იბერიული ქართული (**იაფეთი**). აგრეთვე ნოეს სამ ძემი იგულისხმება პირველი მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (ნოეს კიდობანი), მეორე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (მოსეს კიდობანი), მესამე მართლმადიდებლური რჯულის წიგნი (ქრისტეს კიდობანი), რომელიც წარმოადგენს კოდური ინფორმაციის წიგნს, ღვინის სიტყვას. რაც კი, ამ სამ მართლმადიდებლურ

ნიგნშია შეტანილი (კიდობანშია შეყვანილი) გადაურჩება ცრუ და ბოროტი ინფორმაციის წყალდიდობას, რომელშიც მთლიანად ჩაიძირა თანამედროვე კაცობრიობა. ანუ ის ადამიანები, რომლებიც ფლობენ და სწამთ ღვთის მართალი სიტყვის კოდური ინფორმაციისა, გადარჩებიან, ხოლო დანარჩენები დაიხრჩობიან ცრუ (ბოროტი) სიტყვის თავისუფლების ოკიანეში.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში არსებული ანტიქრისტიანული (ანტიმართლმადიდებლური) ბოროტი და ცოდვილი მასონურ-კოსმოპოლიტიური მოძღვრებები, იდეოლოგიები და მათი წარმომადგენლები აგარი დამწერლობები და ენები მოისპობიან და დაიხრჩობიან მათ მიერვე აღძრული ცრუ ინფორმაციის ოკიანეში. ხოლო ნოეს შვილები **ქამი** (სვანური ქართული ენა), **სამი** (მეგრული ქართული ენა) და **იაფთი** (იბერიული ქართული ენა) უვნებლად გადაურჩება ანტიქრისტეს ცრუ ინფორმაციის წყალდიდობასა და გრიგალს. შესაბამისად, ცრუ სიტყვის თავისუფლების წყალდიდობასა და გრიგალს უვნებლად გადაურჩება ნოეს ეფუთი, მოსეს თორა და ქრისტეს სახარება, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის არსობის პურს, ამიტომ გვეუბნება მაცხოვარი – **„ქამეთ ჩემი ხორცი პურია იგი“**. პირობითად (ალეგორიულად), ნოეს ეფუთი და სვანური ენა წარმოადგენს **ფჰვილს**, მოსეს თორა და მეგრული ენა წარმოადგენს **ცომს**, ხოლო ქრისტეს სახარება და იბერიული ენა კი – **პურს**, ამიტომ აქმევენ ადამიანს ხორბლის წანდილს მიცვალებულთა მოხსენიების დღეს. ხორბალი, ფქვილი, ცომი და პური განუყოფელია. შესაბამისად, ქართული სამება დამწერლობა (ლაზარე), სამება ენა (ლაზარე), სამი მართლმადიდებლური რჯულის ნიგნი (ლაზარე) ერთიანია და განუყოფელია. ამინ!

მესამე მსოფლიო ომი (აპოკალიპსი) და სიცრუის ოკიანის არსებობა დედამიწაზე, ავტომატურად დამთავრდება ქრისტეს მეორედ მოსვლით, რომელიც ნაწინასწარმეტყველებია ბიბლიის დაბადების ნიგნის **6, 7, 8 და 9** თავში.

გენიოსი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ქართული სულის სახარებას, ანუ პოეზიის რანგში გადმოცემულ ძველი და ახალი აღთქმის სულიერ მისიას და საქართველოს (ლაზარეს) სულიერ მისიას მთელს მსოფლიოში. ფრიდონში იგულისხმება სვანური ქართული ენა, პატრიარქი ნოე და მისი პირველი მართლმადიდებლური რჯულის ნიგნი (კიდობანი). ავთანდილში იგულისხმება მეგრული ქართული ენა, პატრიარქი მოსე და მისი მეორე მართლმადიდებლური რჯულის ნიგნი (კიდობანი). ტარიელში იგულისხმება იბერიული ქართული ენა, მაცხოვარი იესო ქრისტე და მისი მესამე მართლმადიდებლური რჯულის ნიგნი (კიდობანი). სამი მართლმადიდებლური რჯულის ნიგნი და სამი პატრიარქი არის კაცობრიობის სულის ქორნილის თამადა და მეფე. ამიტომ უნოდებენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს მეფეებს.

როსტევეან მეფეში იგულისხმება ქართული მართლმადიდებლური ინსტიტუტი (წმიდა მარიამი). თინა–თინა–ში იგულისხმება ძველი აღთქმა, ნეს–ტან–დარე–ჯანში იგულისხმება ახალი აღთქმა, ფატმანში იგულისხმება ისლამურ–მაჰმადიანური რელიგია და ყურ–ანი (მოლა=წამოდი), რომელსაც შეუყვარდა ავთანდილი (მოსეს თორა), ანუ ყურანი, გადანერილია ძველი აღთქმიდან. ამიტომ ეუბნება უსენი ავთანდილს: „ჩვენა ვართ მიდიელნი ვაჭარნი, არასდროს გვისვამს მაჭარი (სახარებას ნაზიარები არა ვართო), ჩვენ ჩვენი რჯული არა გვაქვს ნაჭარი, არამედ გვაქვსო გადმონაჭარი“ (ყურ–ანი ძველი აღთქმიდან გადავწერეთო).

ასმათში იგულისხმება მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც მფარველობს ტარიელს (ტარი=გასალები და ელი=მამა ადამის ხალხს), ანუ მფარველობს იბერიული ქართული სახელმწიფო ენით მლოცველ სრულიად საქართველოს. ავთანდილი და ტარიელი მეგობრდებიან ანუ მეგრული ქართული და იბერიული ქართული ენა იხსენებენ ქართველი ერის ჩამოყალიბების ისტორიას და მიდიან ფრიდონთან (სვანურ ენასთან) და მას აღიარებენ მეფედ.

ქაჯეთის ციხეში იგულისხმება ურია–მასონების ბოროტი მსოფლმხედველობა და სიმართლის (ქრისტეს) მოძულე პოლიტიკურ–ეკონომიკური სახელმწიფო სისტემა, რომლის აგენტებს: პაპებს, პატრიარქებს და ქრისტიანული ეკლესიის სამღვდელოებებს ნესტან–დარეჯანი (სახარება) ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული. ამიტომ გვეუბნება ბრძენი რუსთაველი: **„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან არიან ერთად კრებულნი, კაცნი, გრძობის მცოდნენი, ზედა განელოვნებულნი, ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ვნებულნი...“** ქაჯეთის ციხეა თანამედროვე სასულიერო პირები და პოლიტიკოსები. ისინი კაცობრიობას უმაღლავენ ქრისტეს მეორედ მოსვლასა და მის მიერ კაცობრიობის განთავისუფლებას უმეცრების მონობისგან. საბოლოოდ ურია–მასონები მარცხდებიან და დედამიწაზე მეფედ მოდის მესია. ამინ

ადრე გითხარით, რომ ქრისტეშობამდე სამასი (300) ათასი წლის წინ ღვთის ნებით შეიქმნა მართლმადიდებლურ–გიორგიანული ინსტიტუტი, რომელმაც თავისი ღვთიური მოღვაწეობით შექმნა სრულიყოფილი სამება დამწერლობა ლაზარე და სვანური (ქამი) სასულიერო–საგანმანათლებლო ენა. ქრისტეშობამდე დაახლოებით თოთხმეტი (14) ათასი წლის წინ ამ ინსტიტუტიდან გამოვიდა პატრიარქი **აღამი**, რომელმაც თავის თავს და მამა ღმერთს კოდური შიფრით უწოდა **აღამ** (19/46, მამრობითი სქესი 23 ქრომოსომა პლუს მდედრობითი სქესი 23 ქრომოსომა უდრის 23+23=46=ადამ). ამიტომ მამრობითი სქესი და

მდედრობითი სქესი ორივე არის **აღამი**—ანი და არა ადამი და ევა. ევა მამა ღმერთის სხეულს ნიშნავს, შესაბამისად თითოეული ადამიანი თავის თავშია ადამი (სული) და ევა (სხეული), ეს აქსიომაა.

ჩვენგან უკუ ათვლით თექვსმეტი (16) ათასი წლის წინ პატრიარქმა ადამმა დაწერა პირველი მარტივი რჯულის წერილი სვანურ ენაზე (ქამი), შეადგინა სასულიერო—საგანმანათლებლო პროგრამა (აბელი) და საერო—სახალხო (ხორციელთა) საგანმანათლებლო პროგრამა (კაენი). შესაბამისად დედამინის ზურგზე თანდათანობით ჩამოყალიბდა სულიერი (აბელი) და ხორციელი (კაენი) მოძღვრებები, სწავლებები და ინსტიტუტები. ამიტომ გვასწავლის მაცხოვარი **იესო**: „*მიეც ღმერთს ღვთისა და კეისარს კეისრისა*“ — ო, ანუ მიეცი სულს ღვთის სიტყვა და მიეცი ხორცს შესაბამისი საკვები (სიტყვა).

